პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზი

განხორციელების ვადა: 13.05.2016 - 12.05.2026

EaP ქვეყნები:
მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 19 430 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
EBRD

პროექტის ვებსაიტები: eu4business-ebrdcreditline.com/

პროექტის აღწერა:

ერთობლივი ინიციატივა "EU4BUSINESS - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საკრედიტო ხაზი" ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს ისარგებლონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებით; ეს შეთანხმება საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას ევროკავშირთან აქვთ გაფორმებული. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობას ფინანსებზე DCFTA–სთან დაკავშირებული ინვესტიციების განსახორციელებლად. გარდა ამისა, ის ტექნიკურ დახმარებას უწევს ბიზნესს ამ ინვესტიციების უკეთ განსაზღვრის და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. ინვესტიციების განხორციელება მრავალი სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი, დაწყებული დანადგარების და ტექნოლოგიების განახლებიდან, დამთავრებული ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების ახალი, ხარისხიანი სტანდარტების დანერგვით.

საკრედიტო ხაზი უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესს მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში შემდეგი საშუალებებით:
- სესხები, გაცემული ადგილობრივი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების საშუალებით (სესხების ოდენობა მერყეობს მარტივი პროექტებისთვის განსაზღვრული 300,000 ევროდან 3 მლნ ევრომდე კომპლექსური პროექტებისთვის).
- სტიმულირება 15%-მდე გრანტების სახით სესხის შესაბამის რაოდენობაზე, რაც პროექტის წარმატების განხორციელების შემთხვევაში გაიცემა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის გამარტივებული წვდომა ფინანსებზე.
- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გაწეული მხარდაჭერა ახალი სავაჭრო შესაძლებლობების მისაღებად.
- მხარდაჭერა, გაწეული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალიწინებული ახალი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით.